

საპრესბიურო

საორთულები გაზეთი

ოთხშაბათი 11 ივლისი 2001 №128 (1401)

ფასი 50 თეთრი

1 სექტემბერს საქართველოს ნაკრებს ახალ დამრიგებელს ჩააბარებენ მოდის მასწავლებელი, გულის გამხარებელი?

ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ გვითხრა: მალე მე და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ფიფას მორიგ კონგრესზე დასასრულებად არგენტინაში მივმგზავრებით, სადაც ჩვენს რამდენიმე კოლეგას შევხვდებით და ევრო სწორედ არგენტინიდან დაბრუნებისა და იქ მიღებული კონსულტაციების შემდეგ გამოვაცხადოთ საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელის ვინაობა. მერე ისიც თქვა, თუ არგენტინიდან ჩამოსვლის შემდეგ ეროვნული გუნდის მწვრთნელი ვერ დავინიშნეთ, მსოფლიოს ჩემპიონატის ამ შესარჩევ ციკლს ნაკრები ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე ჩივაძის ხელმძღვანელობით ჩამოვაყვებო.

ერთი სიტყვით, შესაძლო იყო, ნაკრების ახალი მწვრთნელის ვინაობა ფედერაციის ხელმძღვანელთა ფიფას კონგრესიდან დაბრუნებისთანავე შეგვეტყო, მაგრამ გუშინ, როცა მერაბ ჟორდანიას გერმანიაში, არგენტინიდან თბილისის გზაზე შევხვდით, გავიგეთ, რომ სექტემბერამდე მოგიწევს ლოდინი. იქნებ უპრეცედენტო მოვლენის მოწმენიც გავხდეთ — ვინ იქნება ნაკრების მწვრთნელი, ზედ შესარჩევი თამაშის დღეს, 1 სექტემბერს გავიგოთ. სწორედ ამ დღეს საქართველო უნგრეთს მასპინძლობს.

ჩვენთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ჩემს რუს კოლეგა ვიანესლავ კოლოსკოვს, უკრაინელ გრიგორი სურკისს, იუგოსლავ მილიან მილიანის და გერმანელ გერჰარდ მაიერ-ფორფელდერს ვესაუბრეთ. თითქმის ყოველ საღამოს მათთან

ერთად ვიყავით. გვანტერესებდა, რას გვირჩევდნენ და საქართველოს ნაკრების მწვრთნელად ვის კანდიდატურას შემოგვთავაზებდნენ. ძალიან კმაყოფილი დავრჩით, მათგან ბევრი საინტერესო გავიგეთ.

— უფრო კონკრეტულად?
— ოთხივე პრეზიდენტმა ნაკრებისთვის თითო-თითო მწვრთნელი გვირჩია, ჩემი აზრით, ისეთები, რომ გამოვადგებიან. ცნობილ მწვრთნელთა გვარები ჩამოგვითვალეს.

— კერძოდ?
— არა, ამას ველარ გეტყვით, უზერხულია. მიზნოვს, ამ მწვრთნელთა ვინაობის გამხელისგან ჯერჯერობით თავი შევიკავოთ.

— სადაურები არიან?
— იმ ქვეყნებიდან, საიდანაც ეს პრეზიდენტები. სხვათა შორის, კოლოსკოვმა და სურკისმა იცოდნენ, ჩვენი ნაკრები უმწვრთნელოდ რომ არის, მილიანინმა და მაიერ-ფორფელდერმა კი ამის თაობაზე არგენტინაში გაიგეს. ისინი თავიანთვე კანდიდატებს დაგვაკავშირებენ, სიტყვას შეგვაწევენ, ჩვენგან კი ეროვნულ გუნდზე დაწვრილებითი ინფორმაცია მოითხოვენ.

— საბოლოოდ როდის იტყვით, ნაკრებს ვის ჩააბარებთ?

— ალბათ, სექტემბერში. ნაუცბათეუად ძნელია ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა. მოვიფიქრებთ, კოლეგებიც დაგვიზრდნენ, რომ იმ მწვრთნელებს თავადვე გაესაუბრებიან და იმედი მაქვს, სწორ არჩევანს გავაკეთებთ.

კობა ინასარიძე



ვალერი ჩოლარია და მერაბ ჟორდანიია

ფოტო: სპორტული ცენტრი



დათვებმა უნივერსიტეტი და სახმ ნაიგდეს

საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის ლიდერმა, ბათუმის „დათვებმა“ გუშინ გამართულ მერვე ტურის მატჩში შინ იოლადა, 31:10 დაამარცხა თბილისის „უნივერსიტეტი“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბათუმელები ჩემპიონატის პირველ ეტაპს პირველ ადგილზე დაასრულებენ. ჩემპიონი თბილისის „ლელომოტივი“ ქუთაისის ძირითადი შემადგენლობის რვა მოთამაშის გარეშე ეწვია, თუმცა „აიამ“ ვერც ეს უპირატესობა გამოიყენა და 13:13 წააგო. ვარკეთილში კი ორი რამ იყო გამოსარჩევი. ასკ-ის წინააღმდეგ მოთამაშე ყოითაგან ლელო ვაიტანა საფრანგეთიდან შეგებულებით ჩამოსულმა ბორჯღალოსანმა ვიქტორ დიდებულმა, რომელიც მომავალი სეზონიდან „ნიმის“ ღირსებას დაიცავს. მატჩი კი ყოფილმა ბორჯღალოსანმა, აწ საქართველოს შეიდეგა ნაკრების მენეჯერმა ზაზა ლეუჭავაძემ იმსაჯა. „ყოჩებმა“ 75:13 მოიგო.

ყოჩები — ასკ 75:18 საფრანგეთიდან დროებით დაბრუნებული ვიქტორ დიდებულმა „ყოჩებს“ ლელოთი შეეშველა

იხილეთ მეთხუთმეტი გვერდი

დინამო პრეზიდენტის ოჯახის წინააღმდეგ გერმანული ზოიასის მოსალოდნელი ქრონიკა

დღეს დილით თბილისის „დინამო“ გერმანიაში გაემგზავრა. ფრანკფურტიდან დინამოელები დღესვე, საღამოს, ფრაიბურგში ჩავლენ და სასტუმროში დაბინავდებიან. ვარჯიშს სვლიდან შეუდგებიან, ხოლო 14 ივლისს პირველ ამხანაგურ მატჩსაც გამართავენ — „დინამოს“ მეტოქე „ფრაიბურგი“ იქნება. კლუბებს შორის მოლაპარაკების თანახმად, ფოლკერ ფინკემ უძლიერესი შემადგენლობა უნდა დაუპირისპიროს „დინამოს“ „ფრაიბურგის“ რიგებში ალბათ ხუთივე ქართველი ითამაშებს.

იმავ დღეს, 14 ივლისს, „დინამო“ გერმანიის დასავლეთით გადაინაცვლებს, ლამის ზედ გერმანია-ლუქსემბურგის საზღვარზე დაბინავდება პატარა ქალაქ ბიტბურგის გარეუბანში, ბიტბურგის სპორტსკოლაში, რომელიც იმავდროულად ლევერკუზენის „ბაიერის“ ერთ-ერთ ბაზას წარმოადგენს.

„დინამოს“ მენეჯერი ვია ისიანი წინა კვირას სამდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა ბიტბურგში ბაზის ადმინისტრაციასთან მოსალაპარაკებლად. შედეგად, გერმანელებმა ერთობ შეღავათიანი პირობები წაუყენეს „დინამოს“ და მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს.

18 ივლისს „დინამო“ გადაკვეთს საზღვარს, ლუქსემბურგში იქაური ჩემპიონატის მეორეადგილოსან „გრენენშაერს“ ესტუმრება.

ორი დღის შემდეგ ბიტბურგში „ლე-

ვერკუზენი“ ჩავა და ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე შეერკინება „დინამოს“. ეს მატჩი დაახლოებით ერთ თვის წინ დაიგეგმა და მასინ ლევერკუზენელები მეორე შემადგენლობის გამოყვანას აპირებდნენ, ახლა კი შემოუთვლიათ, შესაძლოა უძლიერესებით გეთამაშოთ.

მერე ჩვენებურები კიოლნში ჩავლენ და, რა თქმა უნდა, კლუბის პრეზიდენტის ძმის, არჩილ არველიძის გუნდის წინააღმდეგ ითამაშებენ. მეტოქე აქაც საუკეთესო შემადგენლობით წარსდგება. კიდევ ერთ გერმანულ გუნდთან, მეორეუნდესლიგელ მანჰაიმის „ვალდოფთან“ მიმდინარეობს მოლაპარაკება და საქმეს ისეთ პირი უნანს, ამ გუნდსაც გაევიბრება „დინამო“.

გერმანული შეკრებიდან კი ჩვენებურები 25 ივლისს დაბრუნდებიან.

ნუ გაგიკვირდებათ და „დინამო“ 36-კაციანი დელეგაციით ჩავა გერმანიაში. კლუბის მენეჯერი, ფინანსური დირექტორი, ადმინისტრატორი, გუნდის მენეჯერი, ექიმი, მასაჟისტები, ვიდეო-ოპერატორი, მწვრთნელები (მეკარეების მწვრთნელი ნიკა ჩხეიძე ბერლინიდან შეუერთდება გუნდს, სადაც მწვრთნელთა სემინარზე გახლდათ). კლუბის პრეზიდენტი რევაზ არველიძე კი 14 ივლისს ჩაფრინდება ფრაიბურგში.

მთავარმა მწვრთნელმა გივი ნოდიამ გაცხრილვის შემდეგ გერმანული შეკრებისთვის 24 ფეხბურთელი შეარჩია.

ამათგან „დინამოსთან“ კონტრაქტი ყველას გაფორმებული არა აქვს, მაგრამ შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ყველანი დინამოელები არიან — გვითხრა კლუბის ხელმძღვანელობამ. ნოდიას რწეულთა სია ასეთია:



დინამოელები ახალი სეზონისთვის გერმანულად, ბიტბურგში მოემზადებიან

მეკარეები: სოსო ვრიშიაშვილი, ზურაბ ბათიაშვილი, ზურაბ მამალაძე; მეკვლეები: რამაზ სვანაძე, ალექსანდრე ჩივაძე, გიორგი შაშიაშვილი, ილია კანდელაკი, ალექსანდრე ამისულაშვილი, ირაკლი ვაშაყიძე; ნახევარმეკვლეები: ჯონი შალაბერიძე, მიხეილ მაზიაშვილი, ლადო ბურდული, გიორგი გაბიადაური, თორნიკე აფციაური, ლევან შავგულიძე, გიორგი მანწყავა, არჩილ სახვაძე, ვახტანგ იავრიანი, ვლადიმერ ქუთათელაძე, ვიტალი დარასელია; თავდამსხმელები: გიორგი მიქაძე, მიხეილ ზუციშვილი, მიხეილ ბობოხიძე, კოკა მიქუჩაძე

დავით თაგართილაძე

გათუვი არც მოსულაგ ინდოგ, არც დაბრუნებულაგ

ახალი სეზონისთვის მზადებას განაგრძობს „ბათუმი“ და გახურებულ სექტემბერშიც აწარმოებს. გასინჯვის შემდეგ გუნდიდან დაითხოვს გორის „დილადას“ წამოსული არჩილ ოლეგასაშვილი. იგივე ბედი ეწია უკრაინიდან მობრუნებულ ავთანდილ სისარულიძეს, ხოლო ავთანდილ გვიანიძის ტრანსფერი „ბათუმში“ იმიტომ არ მოხერხდა, რომ ტერნოპოლის „ნივაში“ ჩვენებურში გვარიანი თანხა მოითხოვა, ყოველ შემთხვევაში, ისეთი, ზღვისპირელები რომ ვერ გასწვდნენ.

გუნდში კი ბათუმელები უმადლეს ლიგაში დაბრუნებულ წყალტუბოს „სამგურას“ ესტუმრნენ. ასლან ბალაძის გუნდმა 3:0 მოუგო იმერლებს. გოლები აფხაზავამ, გვაზავამ და ქადაგიძემ გაიტანეს. „ბათუმმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ჭანტურია (ჯაშუ), თურმანიძე (გალოგრე), მინდიაძე (თოდაძე), შ. ლაცაბიძე (ჩიჩუა), გვაზავა (სამაშვილი), ქაცარავა, ჩხაიძე (დ. ჯინჭარაძე), კობიძე (ვითანავა), დარჩიძე, აფხაზავა, რომანაძე (ქადაგიძე).

გუნდში ძალიან მძაფრი კონკურენციაა და ამ დღეებში გასინჯვაზე მყოფ კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს მოუწევს „ბათუმიდან“ წასვლა. „სამგურასთან“ არ უთამაშია პაატა მაჭუტაძეს, თუმც, ასლან ბალაძის თქმით, ვეტერანი ფორვარდი კარგ ფორმაშია და გუნდს მისი კვლავაც ეიძებება.


დავით თაგართილაძე

საზაფხულო მიდი-მოდრი

	ბასხვისაბულაბი	ახალწაულაბი	საზონთობორისი
ტორპედო რევაზ ძიძუაშვილი	ახელედიანი (კოლხეთი), ვაშაქიძე, მ. ბობოხიძე (დინამო), ა. ჯინჭარაძე (სოკოლო, სარატოვი, რუსეთი), იმედაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), ა. შერეილაძე (სამგურალი), კ. ჩხეიძე (დებურევი, უნგრეთი), ვაჩიბრაძე (ბათუმი), დ. ჯანაშია (ტრანსფერზე), ტოკოიძე, არჩილ, ლევან სილაგაძე (?)	ტყუარა (ოსუ), აკოჯიანი (დილა), ლ. ქელიძე, ბერელიძე, გამეზარდაშვილი (ინტერი), ზ. ქუთათელაძე, ო. ბობოხიძე (სამგურალი), გ. შენგელია, პარამონოვი (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), პოროშინი (მუროვი, მოლდოვა), თ. მაღალია (სკონტო 2, ლატვია), ძამაშვილი (იბერია), გ. ჩხეიძე (მეგარდენი, ქუთაისი)	სამგურალი 0:0, 2:1, გურია 5:0, ბათუმი 4:2, მეტალურგი 6:1, 1:0, 8:1
ლოკომოტივი კახა ცხადაძე	გ. შენგელია, პარამონოვი (ტორპედო), გივი კვარაცხელია (სკონტო, რიგა, ლატვია), ასლანაძე (გურია); გივი ნოდი (მთავარი მწვრთნელი, დინამო)	დ. გოდერძიშვილი, დავითნიძე (მურანი), ძიძუაშვილი (ერზურუმსფორი 2, თურქეთი), ნურეილი (ტრანსფერზე), კობიძე, სურვილაძე (ლოკომოტივი 3), სირბილაძე (თბილისი), ქადაგიძე (?), კახა ცხადაძე (მთავარი მწვრთნელი)	გორდა 1:1
დინამო გივი ნოდი	ი. შენგელია (მურანი); გონა ტყეშელაშვილი (ყოფილი მთავარი მწვრთნელი, ამჟამად ნოდიას თანამშენებელი), ხაჩირაშვილი (გორდა)	შალაბერიძე, შავგულიძე (დინამო), ხუტუა (მეტალურგი), ლალანიძე (მეტალურგი, კრასნოიარსკი, რუსეთი)	
ვიტ ჯორჯია ჯანი კარნევალი		დ. გოდერძიშვილი, დავითნიძე (ლოკომოტივი), ხუციშვილი (დინამო), კოროშინაძე (გორდა), გ. ჩხაიძე (ბათუმი), მ. მინაშვილი (სიონი), დევიძე, დევიძე, თილორდავა, ხუჯაძე, ივანიშვილი, ოდიშარია (?)	რიდი (ავსტრია) 1:0, 1:2, ტრუა (საფრანგეთი) 0:6, 1:1
კოლხეთი სოსო ფილია		შალაბერიძე, შავგულიძე (დინამო), ხუტუა (მეტალურგი), ლალანიძე (მეტალურგი, კრასნოიარსკი, რუსეთი)	სამგურალი 1:0, ბათუმი 2:1, კობულეთი 2:1, 2:0
მერანი თთარ გაბულია		დ. გოდერძიშვილი, დავითნიძე (ლოკომოტივი), ხუციშვილი (დინამო), კოროშინაძე (გორდა), გ. ჩხაიძე (ბათუმი), მ. მინაშვილი (სიონი), დევიძე, დევიძე, თილორდავა, ხუჯაძე, ივანიშვილი, ოდიშარია (?)	ოსუ 3:2
ბათუმი ასლან ბადაძე		მთავანაძე (პარტაკი, მოსკოვი, რუსეთი), თედორაძე (ტურია, უკრაინა), კაკაბაძე (ტორპედო მპზ, მინსკი, ბელარუსი), აპაძე, მახარაძე, გელა ქორიძე, დლონტი, ა. მუჯირი, ყულევიშვილი (?)	კოლხეთი 1:2, გურია 1:1, ტორპედო 2:4, სამგურალი 3:0
სიონი ფიროზ რეციაშვილი		ისიანი (ტორპედო), ასპინძელაშვილი (მოლანი), დავითაშვილი (მურანი), კ. მეტრეველი, გაბისონია (?), ხაჩირაშვილი (მთავარი მწვრთნელი)	
გორდა იასონ ალადაშვილი		თ. მეტრეველი, გელაძე, ბაჩილავა, გუგუნიანი, მეტელიძე, სოსხაძე (?); გია გვეჯაძე (მთავარი მწვრთნელი)	ლოკომოტივი 1:1, ოსუ 2:0
გურია ზაზა გურგენიძე		დ. მინაშვილი, ძიძუაძე (?), კირკიტაძე (?), გერმანია)	ბათუმი 1:1, ტორპედო 0:5
მეტალურგი გასია კვეციანი		აჭარაძე, ფანცხავა, მახათაძე (?)	ტორპედო 1:6, 0:1, სამგურალი 1:2
სამურალი ვია გვატაძე		კვეციანი (დებურევი, უნგრეთი), ზ. ქუთათელაძე, ო. ბობოხიძე (ტორპედო), თურმანიძე (ბათუმი), ვადაჭკორია (?)	კოლხეთი 0:1, ტორპედო 0:1, 1:2, მეტალურგი 2:1, ბათუმი 0:3

შანიშვილი: საბოლოო მხოდ დახრილი ტრანსფერაგია





კოპა ხმარობს, არბენბინა დუმს

სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი ეკვადორი — ჩილეს დაპირისპირებით დაიწყო. ტურნირის პირველ მატჩს საპორტო ქალაქი ბარანკილია უმასპინძლებს. მოგვიანებით იქ ერთმანეთს კოლუმბიისა და ვენესუელის ეროვნული გუნდებიც შეერთდებიან. აღსანიშნავია, რომ ბარანკილია, სადაც A ჯგუფის თამაშები ტარდება, კოლუმბიის პირობაზე ერთობ მშვიდი ადგილია. ყოველ შემთხვევაში, B და C ჯგუფის ადგილსამყოფელებისგან ის განსხვავდება, რომ ბოლო თვეების განმავლობაში ამ ქალაქში შეწყდა ტერორისტთა თარეში და ჭურვების გრიალი. კალისა და მედელინიმ, სადაც შესაბამისად, B და C ჯგუფებში საუკეთესოთა ვინაობა უნდა გაირკვეს, ბოლო თვეებში გვარიანი არეულობა იყო ტერორისტებმა თორმეტი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლეს და ორას ორმოცდაათ კაცზე მეტი დაასახინრეს. ცხადია, ასეთ პირობებში ეროვნული გუნდები და მათი ქვეყნების მესვეურები ფრთხილდებიან. ბრაზილიელებმა კოლეგა კოლუმბიელების დასახმირებლად პოლიციის საგანგებო რაშინობაც მოამზადეს. თუმცა მასპინძლები თავს არ ზოგავენ, რათა ტურნირი უსაფრთხოდ და მშვიდად ჩაატარონ. სამხრეთამერიკელი საინფორმაციო უწყებები აკი ამბობენ კიდევ,

რომ ჩემპიონატი პოლიტიკოსებისათვის და სპონსორებისთვის იმართება. კოლუმბიის პრეზიდენტმა პასტრანამ და ბოლო ტელეკომპანიებმა სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციას კოპა ამერიკის ჩატარების უფლება ძლიერ გამოვლიჯეს და ახლა, ალბათ, თავიანთ მიზნებსაც შეასრულებენ. ანდრეს პასტრანა უთუოდ შეეცდება, კოლუმბიას სამარცხვინო იმიჯი ჩამოაშროს. ჩემპიონატის უშუალოდ გასრულება მას, როგორც პოლიტიკოსს, ბლომად ქულას მოუტანს. ტელეკომპანიები კი ტელეტრანსლაციებით ერთობ დიდ შემოსავალს ელიან.

ჩვენ იმ აზრისგან შორს ვართ, თითქოს კოპა ამერიკაზე ქობაძე ნაღდ ფეხბურთს ვერ იხილავს. იმედია, ფეხბურთი იქნება, მაგრამ არა ისეთი, როგორც რამდენიმე წლის წინ. როგორც ვიცით, ეროვნული გუნდების უმრავლესობა კონტინენტის პირველობაზე მეორე შემადგენლობებით თამაშს აპირებს. ჯერ კიდევ გაურკვეველია ჩემპიონატში არგენტინელების მონაწილეობის საკითხი. მათ ქალაქ მედელინიში, C ჯგუფში, ურუგვაისთან, ბოლივიასთან და კანადის ნაცვლად მიწვეულ კოსტარიკელებთან უწყველად ჭიდილი. ახლა კი, შესაძლოა, C ჯგუფმა ერთი გუნდი, ჩემპიონატის უპირველესი ფაფორიტი, არგენტინის ნაკრები მოისაკლისოს.

მრავალთა მსგავსად, კოპა ამერიკის ბოლო ორი გათამაშების ტრიუმფატორი ბრაზილიელები თავიანთ ვარსკვლავებს კოლუმბიაში არ წაიყვანენ, მათ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი თამაშებისთვის გაუფრთხილდებიან და ტურნირზე მეორეხარისხოვანი გუნდით გაემგზავრებიან. თუმცა ბრაზილიელთა ახალდანიშნულ მწვრთნელ ლუის ფელიპე სკოლარის პრობლემები ისედაც მოსაძებნია. ბრაზილიელებმა მიუნხენის „ბაიერსი“ ფიფაში უჩივლეს, რადგანაც ბავარიული კლუბი ვითომდა უსაფრთხოების გარანტიების უქონლობის გამო თავდაპირველად დაიხმარეს ეროვნულ ნაკრებში არ უშვებს. „ბაიერის“ ხელმძღვანელებმა პარაგვაელებიც გაანაწყინა, გერმანელებს კოლუმბიისთვის არც კლაუდიო პიზარო ემეტიება.

პარაგვაელებმაც საშველად ფიფას მიმართეს, პასუხმაც არ დაასანა. ფიფა გერმანელებს დაემუქრა, ელბერი და პიზარო თავიანთ ნაკრებებში გაუშვით, თორემ ევროტურნირებს თვალითაც ვერ ნახავთ.

ბრაზილიელები და პარაგვაელები ქალაქ კალიში, B ჯგუფში, პერუსა და მექსიკის ეროვნულ გუნდებს გაეჯობებიან.

გიორგი მაგარაშვილი



მედელინის სასტუმროს კოლუმბიის პოლიცია და ჯარი იცავს



მექსიკის ნაკრები ქალაქ კალიში გუმბინ ჩავიდა

კოლუმბია 11-29 ივლისი

A ჯგუფი (ბარანკილია)
კოლუმბია, ჩილე, ეკვადორი, ვენესუელა

11 ივლისი ეკვადორი — ჩილე; კოლუმბია — ვენესუელა
14 ივლისი ჩილე — ვენესუელა; კოლუმბია — ეკვადორი
17 ივლისი ეკვადორი — ვენესუელა; კოლუმბია — ჩილე

B ჯგუფი (კალი)
ბრაზილია, პარაგვაი, პერუ, მექსიკა

12 ივლისი პერუ — პარაგვაი; ბრაზილია — მექსიკა
15 ივლისი პარაგვაი — მექსიკა; ბრაზილია — პერუ
18 ივლისი პერუ — მექსიკა; ბრაზილია — პარაგვაი

C ჯგუფი (მედელინი)
არგენტინა, ურუგვაი, ბოლივია, კოსტა რიკა

13 ივლისი ბოლივია — ურუგვაი; არგენტინა — კოსტა რიკა
16 ივლისი ურუგვაი — კოსტა რიკა; არგენტინა — ბოლივია
19 ივლისი ბოლივია — კოსტა რიკა; არგენტინა — ურუგვაი

IV ფინალი
22 ივლისი პირველი A2 — B2
არამბინა C1 — AB3
23 ივლისი არამბინა A1 — BC3
მანისალესი B1 — C2

IV ფინალი
25 ივლისი პირველი I ნების გამარჯვებული — II ნების გამარჯვებული
26 ივლისი არამბინა III ნების გამარჯვებული — IV ნების გამარჯვებული

ფინალი
29 ივლისი — გოგობა

ყველა ჩემპიონი

არგენტინა (14)
1921, 25, 27, 29, 37, 41, 45, 46, 47, 55, 57, 59, 91, 93

ურუგვაი (14)
1916, 17, 20, 23, 24, 26, 35, 42, 56, 59, 67, 83, 87, 95

ბრაზილია (6)
1919, 22, 49, 89, 97, 99

პარაგვაი (2)
1953, 79

პერუ (2)
1939, 75

ბოლივია (1)
1963

ბოლო ფინალი

მ.07.99 ანუსონი (პარაგვაი). სტადიონი „მედელინი“
ფასობს 30 000 მყურებელი

ბრაზილია 3:0 ურუგვაი

სი, 2:0 რივალდო (20, 27), 3:0 რომანო (46)
ბრაზილია დიდა, კანუ ფაო კარლი, მანო, რობერტო კარლი, ფაფაო კომპუსი, ეფრასონი, ზე რომერტო, ამორსო, რივალდო, რომანო

ურუგვაი: კარინი, დელ კამპო, პინეირო, ლეშო, ბერგარა (გოგობა 74), კოელიო (აღვნი 56), ფლურკინი, ვესა (პინეირო 46), კალვასი, მაკალინესი, ხალიცა

გაფრთხილება: ფაფაო კომპუსი, ფაო კარლი, კალვასი, ვესა, გოგობა, კაგუ, მაგალი ალბანდრო რუხი (კოლუმბია)



რუელ ვან ნისტელროი



ბოლ სკოულზი

რასსა გასსა, შინი... მანისტარულად

გუმნიონი ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო ინგლისის ჩემპიონმა „მანჩესტერ იუნაიტედა“. პირველ ვარჯიშზე მსოფლიოს უმდიდრესი კლუბის უკლებლივ ყველა წევრი შეიკრიბა ახალწვეული რუელ ვან ნისტელროის თამაშით, ხვალ კი მანჩესტერში ზუან სებასტიან ვერონი ჩაფრინდება, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და გუნდს მოგვიანებით შეუერთდება.

არგენტინელი ნახევარმცველი ფორმალურად ჯერ კიდევ „ლაციოს“ ეკუთვნის, თუმცა „იუნაიტედში“ მას უკვე თავისიანად თვლიან. თუ სასწაული არ მოხდა, კონტრაქტი კვირის ბოლოს გაფორმდება და ბრიტანეთის ახალი სატრანსფერო რეკორდიც დამყარდება — „წითელი ემპაუნები“ რომაელებს 25 მილიონ გირვანქას გადაუხდიან. აქამდე ერთი ფეხბურთელში გადაუხდილი ყველაზე დიდი თანხა 19 მილიონი იყო — იმავე „იუნაიტედის“ მეერ ვან ნისტელროში გადახდილი.

მოკლედ, „ოლდ ტრეფორდზე“ რეკორდი რეკორდზე მყარდება, თუმცა კუნძულელები ამ მხრივ ჯერ კიდევ შორს არიან კონტინენტის სამხრეთ ნაწილში დატრიალებული ისტრიისგან, სადაც მოთამაშეები 60 მილიონ დოლარზე მეტად ფასობენ. ჩვენში ამდენს კიდევ კარგა ხანს არავინ გადაიხდის — ამბობენ ინგლისელი მიმომხილველები.

სამაგიეროდ, ახალი მოთამაშეების გადმობრებაზე არანაკლებ ძვირი ძველებიც სთვლიან.

გიტა კობახიძე

სკანდინავია მეროპას ინანოლეს

სკანდინავიურ ოთხეულს ევრო 2008-ის მასპინძლობა სურს. შევედოთ, ნორვეგიამ, დანიამ და ფინეთმა გადაწყვიტეს, თავიანთი კანდიდატურა წარადგინონ ევრო 2008-ის მასპინძლობაზე. ამის მსურველი ისედაც ბევრია. სკანდინავიელები მთავარ კონკურენტებად ავსტრიას და შვეიცარიას თვლიან. დიდი პრეტენზიები აქვთ საბერძნეთსა და თურქეთს, ასევე რუსეთს, რომელსაც მარტოს სურს ტურნირის ჩატარება.

სკანდინავიური საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლის, ტარო კორპინენის აზრით, დიდი შანსია, მათმა კანდიდატურამ გაიმარჯვოს. შევედოთ და ნორვეგიას უკვე აქვთ დიდი საერთაშორისო ტურნირის ჩატარების გამოცდილება, 1992 წელს შეეძება სულაც ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლეს, ფინელები კი სულ მალე გაიწაფებიან ასეთი შეჯიბრებების ჩატარებაში: ივლისში იქ 18-წლამდელთა ევროპის პირველობა გაიმართება, ხოლო 2003 წელს — 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი. „ფიფაში“, ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა ნამდვილად შეეკიდოდა“ — განაცხადა კორპინენმა. ისე, რა დროს ევრო 2008-ია, როცა ჯერ ევრო 2004-ის მასპინძელი ქვეყანა არ არის ცნობილი. წესით, ტურნირი პორტუგალიაში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ მათ ერთი თვის წინ უარი თქვეს, გვიჭიროს.

ლუბა გუმბაძორი

იყიდება

ვიოლინო, ზომა 3/4.

ტელ: 33-27-36

ატლანტა ჰოქსი



დაარსდა 1946 წელს (ბუფალო ბიზონი)
ნბა-ს ჩემპიონი: 1 (1958)
მუდმივი ნომერი: 9 (ბობ პეტრიტი), 21 (დომინიკ ვილკინსი), 23 (ლუ ჰადსონი)
დარბაზი: ფილიპს არენა



დღეიდან წარმოგიდგენთ ერთგული სკალათბურთო ასოციაციის 29 გუნდს. თავდაპირველად „ატლანტა ჰოქსი“ გაფიცნოთ და არა იმიტომ, რომ მას ჯორჯიაში აქვს ბინა, უბრალოდ, ანბანის მიხედვით იმსახურებს ნბა-ს გუნდთა სიის სათავეში ყოფნას.

თბილისის ისინი უნახავს



დომინიკ უილკინსი 80-90-იანი წლების „ატლანტას“ სიმბოლო იყო

ჩვენ გვინახავს „ატლანტა ჰოქსი“. თბილისელ გულშემატკივარს ალბათ კიდევ დიდხანს ემახსოვრება 1987 წელს „ჰორნეტს“ სტუმრობა საქართველოში, ამხანაგური მატჩი საბჭოთა კავშირის ნაკრებთან და ცოცხლად ნახი პროფესიონალები — ანტუან კარი, ენტონი „სპაი“ ვეპი, კევინ ვილისი... ეს იყო პროფესიული ლიგის, ნბა-ს ერთ-ერთი გამორჩეული გუნდის და სამოგვარო კალათბურთის გრანდის, საბჭოთა ნაკრების პირველი გაცხიბვრა. პროფესიონალები პირველად დადგნენ მოყვარულთა პირისპირ და ის თამაში მართალია, ერთი ქულით, მაგრამ მაინც მოიგეს. სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეცა საშუალება, სპორტის სასახლეში გვეხილა „ჰორნეტის“ ლიდერი და ნბა-ს იმ დროს ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე დომინიკ ვილკინსი. იგი თბილისში არ ჩამოსულა, მოგვიანებით შეუერთდა თავისიანებს. „ატლანტამ“ კიდევ ორი შეხვედრა გამართა „წითელ“ ნაკრებთან და სამი თამაშის ჯამში 2:1 გამარჯვებით გაუმეზავრა ოკეანის ვალსა.

საბჭოეთთან გაცხიბვრებამ „ატლანტა ჰოქსი“ ისტორიაში შეიყვანა და მართალია, ამ კლუბს ნახევარსაუკუნოვანი ისტორია აქვს, იგი ნამდვილად არაა ის გუნდი, რომელიც ნბა-ს განსვენებისას პირველად დაგიდგება თვალწინ. „ჰორნები“ ამჟამინდელ 43 წლის წინათ მოპოვებული ერთადერთი ჩემპიონობით, თუმც მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და მათი სიამაყის გრძობა წლიდან წლამდე ილევა. დღეს შეიძლება ითქვას, „ჰორნები“ მშვიდობით, უფრო მეტიც, შიმშილისგან დაოსებულები არიან.

„ატლანტა ჰოქსი“ ნბა-ს წინამორბედის ბაა-ს დარსების წელს შეიქმნა, თუმც სანამ ნბა (ბაა) თავის ოჯა-

ზში მიიღებდა, სამი წელი გაცილებით დაბალი რანგის ლიგაში, ნბლ-ში მოუწია ყურყურტი. „ატლანტამდე“ შორი იყო, გუნდი ბუფალოში დაარსდა 1946 წელს და სახელად „ბიზონი“ ერქვა. მალევე „ბიზონები“ ილინოისის შტატის პატარა ქალაქ მოლინში გადაბრუნდნენ და სხვა სახელი დაირქვეს — „ტრი სიტი ბლეიჰოქსი“. შენიშნავდით, რომ კლუბის სახელწოდებაში არ ფიგურირებს ქალაქ მოლინის სახელი — ეს გასაგებია, რადგან ასეთი დასახლებული პუნქტის არსებობა ვეჭვობთ, შეერთებული შტატების მოსახლეობის მეთაქვმა იცოდეს. კლუბის ხელმძღვანელებმა ამიტომ ირჩიეს „ტრი სიტი“, სამი ქალაქი (უფრო სოფელი) — მოლინი და მისი მეზობლები, როცა აიღენდი და დევნებოდა.


ქვედა ლიგაში ჯახირი აბა, რა მოსატანია, „ჰორნების“ ნამდვილი ისტორია 1949 წლიდან იღებს სათავეს, როცა ბაა ნბა-დ გარდაიქმნა, ფრთები გაშალა და ქვედა ლიგის ოთხ გუნდს და მათ შორის „ტრი სიტის“ გაულო კარი. დაბა მოლინი და მისი ექვსიათასიანი დარბაზი ვეღარ აკმაყოფილებდა ნბა-ს მზარდ მოთხოვნებს, ამიტომაც ორი სეზონის შემდეგ „ჰორნები“ იძულებულნი იყვნენ, მძლავრი ლიგისთვის შესაფერისი ბინა მოეძებნათ. ასეთი მალე გამოჩნდა, ქალაქი მილოუკი და ათიათასკაციანი დარბაზი, სადაც „ჰორნები“ 1951 წელს გადავიდნენ და ოთხი სეზონი გაატარეს. 1955 წელს კლუბმა, რომელსაც ახლა უკვე უბრალოდ „ჰოქსი“ ერქვა, კიდევ ერთხელ გამოიცვალა სარბიელი და მილოუკიდან სენტ ლუისის მიამურა, სადაც სრული 13 სეზონის განმავლობაში მასპინძლობდა მეტოქეებს.

1949 წელს „ჰოქსიმ“ კი შეალო ნბა-ს

კარი, მაგრამ პირველ წარმატებამდე დიდხანს მოუხდა ლოდინი. „ჰორნებმა“ ვერ აუღეს ადგილი ახალ გარემოს და ამის გამო ბევრი დაკარგეს. მათ თითო-თითო წელი წვრთნიდნენ მომავალში ლეგენდარული მწვრთნელები — არნოლდ „რედ“ აუერბახი და რედ პოლცმანი. კლუბის მამებმა თავიანთ თავს დააბრალონ ამ ორ დიდ კაცს კარი რომ მიუხურეს. ასევე „ჰოქსიმ“ უნდა ეთამაშათ „ბოსტონის“ დინასტიის პირველ ვარსკვლავებს — ბობ კოუზის და ბილ რასელს. ამ ხალხთან ერთად „ჰორნები“ ნბა-ს დაიპყრობდნენ, მაგრამ...

კლუბის არსებობის პირველ წლებში და იქნებ მთელ ისტორიაშიც ყველაზე ნათელი წერტილი 2006-სანტიმეტრიანი თავდამსხმელ-ცენტრი ბობ პეტრიტი გახლავთ, რომელმაც 1954 წელს მთავარი „ჰოქსის“ მაისურა სწორედ მას უნდა უმადლოდნენ „ჰორნები“ ერთადერთ ჩემპიონობას. პეტრიტი ლიგის ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე გახლავთ. იგი თავიდანვე გაუშინაურდა ნბა-ს და პირველივე სეზონში ლიგის მეოთხე ბომბარდირად იქცა, ამასთან სეზონის ახალბედაც გახდა. მომდევნო წელს პეტრიტი წინ წიწია და ახლა უკვე სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ აღიარეს. აღსანიშნავია, რომ იგი პირველი უძვირფასესია, რადგან მანამდე ეს ტიტული არ არსებობდა. პირად ტიტულებს კი მალე გუნდურიც მოჰყვა. 1957 წელს „სენტ ლუისი“ ფინალში გავიდა და იქ კოუზის, რასელის და აუერბახის „ბოსტონთან“ უდაბაბულეს შეიღმატინან სერიაში 3:4 დამარცხდა.

მარცხმა ვერ დააშინა „ჰორნები“. 1958 წლის ფინალში კვლავ წარუდგნენ ერთმანეთს „სენტ ლუისი“ და „ბოსტონი“. ამჯერად გამარჯვება „ჰორნებს“ დარჩათ. მხოლოდ ამ დროს არ ნახობდნენ ისინი, რომ 1956 წელს ბილ რასელი „ბოსტონს“ ედ მაკოლიში და კლდე ჰუგანში გაუცვალეს. ისინი სუ-



ბობ პეტრიტი ერთადერთი ატლანტელია, რომელიც სეზონის უძვირფასესი მოთამაშე გახდა

ლაც არ იყვნენ ცუდი ბიჭები და კარგადაც შეეწყვენენ პეტრიტს, თუმც ამ შემადგენლობამ ნბა-ს მხოლოდ ერთი ტიტული გამოაძინა. მომდევნო სამ სეზონში „ჰოქსი“ კიდევ ორჯერ გავიდა ფინალში და ორჯერვე „ბოსტონთან“ წააგო, რის შემდეგაც გუნდი გამოაკლდა ოქროს მაძიებელთა რიგებს.

ბობ პეტრიტი 1964 წელს გახდა პირველი მოთამაშე, ვინც ნბა-ს თამაშებში 20 ათასი ქულა მოიხვეჭა. იგი დიდი მექულე და მომხსნელი იყო, თუმც მისი მზე თანდათან ჩადიოდა და ერთი წლის შემდეგ პეტრიტი პენსილვანიაში გადავიდა. მან 11 სეზონი ითამაშა და ნბა-ს დაუტოვა რეკორდი — 20880 ქულა.

პეტრიტის წასვლის შემდეგ „სენტ ლუისის“ დაღმასვლა დაიწყო. გუნდმა მეტროპოლი სული დაკარგა, იმატა წაგებებმა და თამაშებზე ცარიელი სკამების ოდენობამ. საქმე იქამდეც კი მივიდა „ჰორნებს“ ახალი თავშესაფრის

მოძებნა მოუხდათ და 1968 წელს ატლანტაც გამოჩნდა.

მას შემდეგ „ჰორნები“ სულ ძიებაში არიან. ცდილობენ, კვლავ დაიპყრონ ნბა, თუმც ამჟამინდელ 70-იან წლებში გუნდში არაერთი ვარსკვლავი თამაშობდა: „ბოსტონის“ პიტ მარაინი, უოლტ ბელამი, ლუ ჰადსონი, თუმც მათ ვერ გამოჭედეს ოქრო. ჩემპიონობა არც მერე მოსულა, 80-იან წლებში, როდესაც გუნდში უნიტიერესი კალათბურთელი დომინიკ ვილკინსი ჩაირიცხა. ვილკინსი მთელი კარიერის განმავლობაში თითქმის ტოლ-სწორად ეჯიბრებოდა მაიკლ ჯორდანს ფრენაში, ჩატენგებში და რაც შეიძლება ბევრი ქული მობეჭვავდა, მაგრამ მისი გუნდი მაქსიმუმ პლეი ოფის პირველი ეტაპის დაძლევის თუ ახერხებდა. მაინც აღვნიშნოთ 1985-86 წლების სეზონი, რომელმაც „ატლანტას“ არაერთი ტიტული მოუტანა. მატჩში საშუალოდ მოგროვილი 30,3 ქულით ვილკინსი პირველად გახდა ლიგის ბომბარდირი (მომდევნო შეიდი წელი ჯორდანისა იყო), „ჰოქსის“ თავკაცი მაიკ ფრატელი სეზონის მწვრთნელად აღიარეს, ხოლო 168-სანტიმეტრიანმა გამოთამაშებულმა სპაი ვებმა სასწაული ჩაიდინა — ჩატენგების კონკურსში ვილკინსს და ჯორდანს ერთად აჯობა და მთავარი პრიზიც მიითვისა. ერთი წლის შემდეგ „ატლანტა“ თბილისსაც ესტუმრა.

1994 წელს გუნდის ქომაგებს თავზარი დაეცათ, კლუბის ხელმძღვანელებმა შებერებული ვილკინსი ახალგაზრდა და პერსპექტიულ დენი მენინგზე გაცვალეს. „ჰოქსი“ კი მაინც ვერ ასცდა საშუალო დონის იმავე 1994 წელს „ჰორნებმა“ კლუბის ისტორიაში სარეკორდოდ ბევრი, 57 თამაში მოიგეს, თუმც პლეი ოფში მეორე წრიდან გამოვარდნენ, ხოლო 2000 წელს „ატლანტა“ ბოლო თხუთმეტე წელიწადში პირველად დარჩა პლეი ოფს მიღმა.

დღესდღეობით „ჰორნები“ საშუალოებშიც აღარ ირიცხებიან, თუმც იმედს რა მოჰკლავს და ისინიც ამით ცოცხლობენ. მატერიალურად ატლანტელთა იმედს შარი ადურ-რაპიში ჰქვია, მოთამაშე, რომელსაც სიდნეიში ოლიმპიური ოქრო მოუგია და ამ ორიოდ დღის წინ „განკუვერიდან“ გადაიყვანეს. ადურ-რაპიში ატლანტაში დაბადებულ-გაზრდილია და გულიც ჯორჯიის დედაქალაქისთვის უცემს. „შარიფის გარემო ჩვენ მძლავრ გუნდს ავაშენებთ“, ოცნებობენ ჯორჯიელები.

ირაპლი ფიჩაშვილი



ბოლო სეზონში „ჰოქსიმ“ ლიდერი ხორვატი ტონი კუკოში იყო

სარბიელი სპორტული ლაბარია კროკო

ავსტრია. 1-ლი ტური 11 ივლისი

22.00	002	ზალცბურგი-აუსტრია	2,2	3,0	3,1
22.30	003	ბრეგენცი-ადმირა	2,0	3,0	3,5
22.30	004	კერნტი-რიდი	2,0	3,1	3,4
23.30	005	რაპიდ-შტურმი	2,1	3,0	3,3

შვეიცარია. A ჯგუფი. გადადებული მატჩი 11 ივლისი

22.30	006	ლუგანო-სიონი	1,65	3,2	5,0
-------	-----	--------------	------	-----	-----

შვეიცარია. A ჯგუფი. მე-2 ტური 11 ივლისი

22.30	007	ბაზელი-სერვეტი	1,95	3,1	3,3
22.30	008	ლოზანა-იანგ ბოისი	1,6	3,4	5,0

14 ივლისი

20.30	009	აარაუ-ლეუკერნი	2,0	3,0	3,5
22.30	010	ლუგანო-გრასჰოპერი	2,4	3,1	2,6
22.30	011	ქსამასი-სიონი	2,3	3,1	2,8
23.15	012	ციურიხი-სენტ გალენი	2,4	3,1	2,6

შვეიცარია. B ჯგუფი. 1-ლი ტური 11 ივლისი

20.30	013	კონკორდია-ვილი	2,5	3,0	2,5
22.30	014	ბაღენი-ბელინცონა	2,4	3,0	2,7
22.30	015	ლოკარნო-დელემონი	2,3	3,1	2,8
22.30	016	ვინტერთური-კრინსი	1,6	3,5	4,7
22.30	017	ივერდონი-კარუჟი	1,65	3,2	5,0

შვეიცარია. B ჯგუფი. მე-2 ტური 14 ივლისი

20.30	018	ბაღენი-დელემონი			
22.30	019	ბელინცონა-ვინტერთური			
22.30	020	კარუჟი-კონკორდია			
22.30	021	კრინსი-ვადუცი			
22.30	022	თუნი-ივერდონი			
22.30	023	ვილი-ლოკარნო			

რუსეთი. მე-16 ტური 11 ივლისი

16.00	024	სპარტაკი-ჩერნომორეცი	1,15	5,6	10,0
16.00	025	კრილია-ცსკა	2,2	2,9	3,0
16.00	026	როტორი-სოკოლი	2,2	2,9	3,2
16.00	027	როსტსკელმაში-ზენიტი	2,2	3,0	3,1
16.00	028	ფაკელი-ალანია	2,0	3,1	3,4
16.00	029	სატურნი-ანჟი	2,0	2,9	3,6
19.00	030	ზილ-ლოკომოტივი	4,4	3,2	1,65

12 ივლისი

16.00	031	დინამო-ტორპედო	2,5	2,9	2,5
-------	-----	----------------	-----	-----	-----

შვედეთი. გადადებული მატჩი 11 ივლისი

22.00	032	იორგრიტაიკ	2,3	3,0	2,9
-------	-----	------------	-----	-----	-----

შვედეთი. მე-13 ტური 15 ივლისი

20.00	033	ჰელსინკი-ჰამარბი	1,75	3,2	4,0
20.00	034	ტრელებორგი-გეტებორგი	3,5	3,3	1,85
22.00	035	ჰეკენი-ჰელსინგბორგი	3,0	3,1	2,2

ფინეთი. მე-19 ტური 11 ივლისი

20.30	037	ატლანტიკი-მიუპა	2,5	3,0	2,5
-------	-----	-----------------	-----	-----	-----

12 ივლისი

20.30	038	ინტერი-ჯაზი	1,4	4,0	6,5
20.30	039	კუპიო-ტამპერე	3,3	3,2	2,0

ფინეთი. გადადებული მატჩები 14 ივლისი

18.00	040	იოკერიტი-როვანიემი			
-------	-----	--------------------	--	--	--

15 ივლისი

20.30	041	პიკ-ჯაზი			
20.30	042	ტამპერე-ლაჰტი			
20.30	043	მიუპა-ვაასა			

გერმანია. ლიგის თასი. I ეტაპი 11 ივლისი

23.30	044	დორტმუნდი-ფრაიბურგი	1,7	3,3	4,2
-------	-----	---------------------	-----	-----	-----

12 ივლისი

23.30	045	ლევერკუზენი-ჰერტა	2,2	3,0	3,1
-------	-----	-------------------	-----	-----	-----

ჩემპიონთა ლიგა. I ეტაპი. I მატჩები 11 ივლისი

18.00	501	ლევესკი-ჟელეზნიჩარი	1,5	1,5	1,5
18.00	502	ლინფილდი-ტორპედო	ანგარიში		- 5,0
18.00	503	რეკიავიკი-ველაუნია	1,55	3,5	5,3
18.00	504	სლოვა-კაუნასი	1,55	3,6	5,0
18.00	505	ვაგური-მონიერი	3,6	3,3	1,9
18.00	506	ბოქემიანი-ლევადია	1,75	3,2	4,0
18.00	507	ბარი თაუნი-შამჰერი	1,95	3,2	3,4
18.00	508	ვალეტა-პაკა	3,8	3,2	1,75
18.00	509	დუდელანჟი-სკონტო	5,0	3,6	1,55
18.00	510	არაქსი-შერიფი	2,1	3,1	3,2

ინტერტოტოს თასი. III ეტაპი. I მატჩები 14 ივლისი

18.00	512	ბრეშა-ტატაბანია			
18.00	513	ლოკერენი-ნიუკასლი			
18.00	514	ცელე-ლოზანა			
18.00	515	ვოლფსბურგი-დინამო (მინსკი)			
18.00	516	ვერდერი-გენტი			
18.00	517	ბლ შანი-პობელა			
18.00	518	სლავენი-ასტონ ვილა			
18.00	519	ვალეაიკი-მიუნხენი			
22.30	520	ბაზელი-ჰერენვენნი			

15 ივლისი

18.00	521	ტავრია-ჰსუ			
21.00	522	რენი-სინოტი			
21.00	523	ტრუა-აიკ			

კოპა ამერიკა (კოლუმბიაში) 11 ივლისი

04.00	524	ეკვადორი-ჩილე	2,5	3,0	2,5
06.45	525	კოლუმბია-ვენესუელა	1,05	7,0	14,0

12 ივლისი

03.30	526	პერუ-პარაგვაი	4,2	3,1	1,75
05.45	527	ბრაზილია-მექსიკა	1,4	3,6	6,5

13 ივლისი

04.00	528	ბოლივია-ურუგვაი	5,0	3,4	1,6
06.15	529	არგენტინა-კოსტა რიკა			

14 ივლისი

02.15	530	ჩილე-ვენესუელა			
04.30	531	კოლუმბია-ეკვადორი			

15 ივლისი

02.00	532	ბრაზილია-პერუ			
04.15	533	პარაგვაი-მექსიკა			

16 ივლისი

04.00	534	ურუგვაი-კოსტა რიკა			
06.15	535	არგენტინა-ბოლივია			

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

13 ივლისი

22.30	536	ეგვიპტე-ნამიბია	1,25	5,0	9,0
-------	-----	-----------------	------	-----	-----

14 ივლისი

17.30	537	სიერა ლეონე-ლიბერია	3,6	3,4	1,75
18.00	538	სამხრეთ აფრიკა-მალავი	1,2	5,6	10,0
18.00	539	სენეგალი-მაროკო	2,5	3,0	2,5
18.00	540	ზამბია-კამერუნი	2,5	3,0	2,5

15 ივლისი

16.00	541	განა-სუდანი	1,5	3,5	6,0
17.00	542	ტოგო-ლიბია	1,4	3,8	7,0
17.30	543	დრ კონგო-ტუნისი	5,0	3,6	1,5
17.30	544	კონგო-კოტ დივუარი	5,0	3,6	1,5
18.00	545	ზიმბაბვე-ბურკინა ფასო	1,7	3,2	4,4

ბათუმში

გაიხსნა პროჩოს ახალი ბიურო
მისამართი: ფიროსმანის ქუჩა №7ა

**ხუთშაბათს. 12 ივლისს კროკო
ჩვეული განრიგით იმუშავებს**

1 აგვისტოდან პროჩო
ხუთშაბათობითაც იმუშავებს. დასვენების
დღე მხოლოდ ორშაბათი იქნება.
სამუშაო დღეებია: სამშაბათი, ოთხშაბათი,
ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, აჰირა

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახლებულ ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	1 სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ლრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი №11	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა №16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა №27	
გორი	სტალინის ქუჩა №30	ჭადრაკის კლუბი
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №61	ყოფილი გორკის ქუჩა
	ჯავახიშვილის ქუჩა №78	
	ჭავჭავაძის ქუჩა №113	
ქობულეთი	ალმაშენებლის ქუჩა №106	
	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგათი	გურიის ქუჩა №23	

ბათუმელების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიყვანოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოცემის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშე უნდა გამოიყვანოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეთადის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმონჩნდება შეტანილი, ქვიტორის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

- ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:
- 1 ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ
 - 2 შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
 - 3 შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტიქნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
 - 4 მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში
 - 5 წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი
 - 6 არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვიტარი

რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვიტარი უნდა შეიცვას გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვიტორის ფანქრით ან ნითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვიტარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვიტარი თვითკომპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვიტარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვიტარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვიტარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვიტარების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვიტარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვიტარებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით. მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

სან ტროპიკა



THE SUN

საშობაობებში ფოტოების სერია გრძელდება: სენ ტროპეში მზეს ეფიცებიან მარსელ დესაი და მისი მეუღლე ვირჯინი. შორიახლო მათი იახტაც ლივლივებს წყალზე, მაგრამ იახტისკენ თვალი აღარაფის გაექცევა. რისკენაც გაექცევა, თქვენ უკეთ იცით. პაპარაცების რა ვთქვით, თორემ 'სამი' შვილის დედა სად რას მიუშვებს მზეს, როცა ქმარი მობილურზე დაპარაკობს, ვისი რა საქმეა. ათი წელიწადია, მარსელი და ვირჯინი ცოლ-ქმარი არიან და გახლავან გერიტებივით.

გორან, გორან!



REUTERS ლონდონიდან

გორან, გორანო, შესახებან უიმბლდონის ბოლოს და ბოლოს მომგებ გორან ივანიშვიტის იმ ფინალის დღეს კორტზე მეოფი ხორვატები. მეოთხე ფინალი და პირველი გამარჯვება იმ კაცის, რომელიც უიმბლდონზე საერთოდ უაილდ ქარდით, ძველი დამსახურებების გამო დაუშვეს. არის ცაში სამართალიო, იტყვიან და როცა გორანისნაირი ეისისტი შეეშველება სამართალს, საქმეც გამოვა. უიმბლდონის ტრიბუნაზე კი ამასწინათ მოსკოვში ნამყოფი ჯექ ნიკოლსონი ზის თავის ლამაზმან ლარა ფლინ ბოილთან ერთად და ჩემპიონს ბინოკლით ათვალეერებს.



REUTERS ლონდონიდან



REUTERS ლონდონიდან

პარჯიუის ნინ

ამსტრალში საბრძოლოდ მყოფმა ბრიტანელმა ლომებმა უკვე გადაიხადეს ორი ტესტი მსოფლიოს ჩემპიონ ვოლაბეტთან. პირველ შეხვედრაში, ბრისბენში ლომებმა იხადეს, მეორეში, მელბურნში მასპინძლებმა დააღვლოვეს ბრიტები, ამ შაბათს კი, სიდნეიში მესამე შეყრათ. ლომთა კაპიტანი მარტინ ჯონსონი მხედ ირგებს ფეხსაცმელს, წინ მოქანცველი ვარჯიშით.



REUTERS პონენიდან

ფუ პეკინისთვის

პარასმეშ უკვე გაირვევა, უმასპინძლებს თუ არა პეკინი 2008 წლის ოლიმპიადას. ჩინელები კი პროპაგანდას აგრძელებენ. პონენში კოსმეტეური ნაწარმის რეკლამას სწევს ოლიმპიური ჩემპიონი, წყალში მხტომელი ფუ მინსია და თან ოლიმპიადის მასპინძლობასაც ითხოვს.

სამივე ქამრისთვის

ასლოვდება დიდი შერკინება, იწყება დიდი ხმაური. 15 სექტემბერს „მედისონ სკვერ გარდენში“ საშუალო წონის ტიტულთა გამაერთიანებელი ბრძოლაა: წონებში მოგზაური დიდი პუერტორიკოელი, ასოციაციის (ვბა) ჩემპიონი ფელიქს „ტიტო“ ტრინიდადი და საბჭოსა (ვბკ) და ფედერაციის (იბფ) ქამართა მფლობელი, ფილადელფიელი ბერნარდ „დამსჯელ“ ჰოპკინსი სამი ტიტულისთვის იბრძოლებენ. ამათ შუა კი, რა თქმა უნდა, უბერებელი თაღლითი დონ კინგი დგას.



REUTERS ნიუ იორკიდან

სარბიელი
საორტული გაჯეთი
გამოიცევა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამაბათს,
ოთხაბათს, ხუთაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯაძე
დირექტორი ბიორბი ოქროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრიაული
ტექნიკური რედაქტორი მასტანა ბუჩუაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორევიძე
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და

ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიორგი ანდრეასიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოღუნაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილი-სტები მათა აბუნიანი, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, თამაზ გოგუბაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბუაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუყუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზაბაძის ბაზარი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge